დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები საქართველოს ეროვნული ბანკის №26/04 ბრძანების შესაბამისად

(ათასი ლარი)

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი:

	2016	*2015*
	„მშობელი ბანკი“	*„მშობელი ბანკი“*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,688	75,577
სხვა აქტივები	135	–
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	260,923	162,944
სხვა ნასესხები სახსრები	79,340	31,827
სუბორდინირებული სესხი	37,759	33,329
სხვა ვალდებულებები	269	230

2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით „მშობელი ბანკისგან“ მოზიდული სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მარტამდე (2015წ.: 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის აგვისტომდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 1.10%-დან 3.73%-მდე (2015წ.: 1%-დან 6.23%-მდე). „მშობელი ბანკისგან“ ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე (2015წ.: 2016 წლის თებერვლიდან 2019 წლის სექტემბრამდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 2.07%-დან 6.28%-მდე. (2015წ.: 3.37%-დან 6.28%-მდე).

2005 წლის 25 ოქტომბერს „ჯგუფმა“ „მშობელ ბანკთან“ გააფორმა ხელშეკრულება 12,000 აშშ დოლარის ოდენობით სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა ლიბორს +6%-ით. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად და სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ოქტომბრამდე. 2014 წლის 13 ოქტომბერს „ჯგუფმა“ „მშობელ ბანკთან“ ასევე გააფორმა ხელშეკრულება 126,400 რუსული რუბლის ოდენობით სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 11%-ით. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად, სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 13 ოქტომბრამდე. ვითიბის ჯგუფის ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული სესხების დაფარვა მოხდება მხოლოდ „ბანკის“ ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

	2016	*2015*
	„მშობელი ბანკი“	*„მშობელი ბანკი“*
საპროცენტო შემოსავალი	7	5
საპროცენტო ხარჯი	(8,961)	(10,330)
საკომისიო ხარჯი	(137)	(165)
წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებიდან	355	(704)